საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ლევან თევზაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ლევან თევზაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

<table>
<tr><th colspan="2">მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th>კომენტარი</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3">კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას, კერძოდ:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე;

- სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ;

- საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას;

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და იუსტიციის</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

		უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მონაცემებს შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სამი სამართალდარღვევა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ექვსი სამართალდარღვევა.

		ხსენებულთან ოთხ შემთხვევაში შეფარდებული ჯარიმა გადახდილია კანონით დადგენილ ვადაში, ხუთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას აქვს ვადაგასულის სტატუსი, ვინაიდან ისინი ვერ ჩაბარდა სამართალდამრღვევს საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. მოპოვებული ინფორმაციის, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა პიროვნული კეთილსინდისიერებითა და პროფესიული სინდისით, გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგელობის გრძნობის მაღალი შეგნება. არის გულისხმიერი, გაწონასწორებული, კორექტული, პრინციპული და შრომისმოყვარე. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საქმის ინტერესების საკუთარ, პირად ინტერესებზე მაღლა დაყენება. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების აზრით, კანდიდატი არის პრინციპული, შეუვალი და სამართლიანი, არ

ექცევა ზეგავლენის ქვეშ და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მისი მხრიდან გამოირიცხება რომელიმე მხარისადმი მიკერძოების, ფავორიტიზმის ან წინასწარი განწყობის გამოვლენა. გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების მათ შორის დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას აქვს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და კონსტრუქციული მსჯელობისას საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი კორექტული, გაწონასწორებული და თავაზიანი ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა გულახდილობას და ღიაობას. კანდიდატის ქცევას, როგორც სასამართლოს შენობაში, ასევე მის გარეთ პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. აღნიშნავენ, რომ ლევან თევზაძე არის თავდაჭერილი, თავაზიანი, კოლეგებთან ურთიერთობაში გახსნილი და უშუალო ადამიანი. აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით ეპყრობა კოლეგებს, პროცესის მონაწილეებს და საზოგადოებას. მუდმივად ზრუნავს სასამართლო პრესტიჟის ამაღლებაზე.

არსებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ლევან

		თევზაძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ არ გამოსულა ასევე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს მაღალი პროფესიული და პირადი რეპუტაციით. მას სათანადოდ აფასებენ და ანგარიშს უწევენ. გამოირჩევა ღირსებით, თავაზიანი და პატივისცემით მოპყრობის უნარით. კანდიდატის შესახებ ინტერნეტში მოპოვებულ იქნა ინფორმაცია: ლევან თევზაძის მიერ განხილული საქმეებიდან მედია საშუალებები ოთხმეზურის საქმით დაინტერესდნენ. ასევე, კანდიდატის შესახებ საინფორმაციო არხებით სხვადასხვა სახის ინფორმაცია მოიპოვება, მისი განცხადებები, არჩევა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, დანიშვნა სააპელაციო სასამართლოში, ინფორმაცია ნათესაურ კავშირზე. ხელმისაწვდომია ცნობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებსა და სისუსტეებზე არ მიუთითებიათ. **5. ფინანსური ვალდებულება** მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ლევან თევზაძეს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული

			ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა ცხრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები ოთხ შემთხვევაში შეფარდებული ჯარიმები გადახდილია დროულად კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო ხუთ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ვადაგასულია. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ორ სტატიას სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u>

			აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ლევან თევზაძე ძალიან კარგად ფლობს საქართველოს სისხლის საპროცესო და მატერიალური სამართლის თეორიულ საფუძვლებს. ის სწორად აღიქვამს გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და დანიშნულებას. თვალსაჩინოა, რომ წარმოდგენილ პუბლიკაციებში და განაჩენში დასმული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისას კანდიდატმა იხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკითაც. წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზის შედეგად, უნდა აღინიშნოს, კანდიდატის მიერ სიღრმისეულად შესწავლილი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო განაჩენის დასაბუთება, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი და თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით. აღნიშნულ ნაშრომების და მათ შორის გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების გათვალისწინებით, ცხადია, რომ კანდიდატს აქვს სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გააზრების უნარი, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო სამართალთან მიმართებით. გააჩნია დასმული საკითხის დეტალური ანალიზის, თანმიმდევრული მსჯელობის საფუძველზე ლოგიკური დასკვნის გამოტანის უნარი. გასაუბრებამ ასევე ცხადყო, რომ ის ეცნობა არა მხოლოდ ეროვნულ არამედ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, რის რეალიზებასაც ახდენს მის მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებში.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ</u>

			ორ სტატიას, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას. მიმაჩნია, რომ შესწავლილ პუბლიკაციებისა და სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენში ჩამოყალიბებული მოსაზრებები საფუძვლიანი და თანმიმდევრულია. მისი დასკვნები მოხმობილი ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს. შესწავლილი ნაშრომებისა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების გათვალისწინებით ჩემი აზრით, კანდიდატს შეუძლია ცალკეულ სამართლებრივ საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკის, შიდასახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობის სწორი შედარებითი და საგნობრივი ანალიზი. ლევან თევზაძეს გააჩნია 19 წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც დაკავშირებულია როგორც სამართალდამცავ ორგანოებში ასევე, სასამართლო სისტემაში საქმიანობასთან. 2018 წლიდან ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.
წერის უნარი	**19**	**20**	წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ორ სტატიას, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.

			კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა ჩამოყალიბებულია გამართულად. კანდიდატი სწორად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული თვალსაზრისით. იურიდიული ტერმინოლოგია ბუნებრივად არის ჩართული საერთო ენობრივ კონტექსტში. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვთ დახასიათებული რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი, გაწონასწორებული და თავაზიანია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, საკუთარ მოსაზრებას ლაკონიურად და საკმაოდ ცხადად გადმოსცემს. მისი მსჯელობა როგორც წესი თანმიმდევრული და ლოგიკურად გამართულია. ზოგადად, დატოვა, მოწესრიგებული, ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი გასაუბრების მიმდინარეობისას სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემდა გასაგებად. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარი პოზიტიურად

			აქვთ შეფასებული რეკომენდატორებს და გამოკითხულ პირებსაც.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს 2017 წლის პირველი ნოემბრიდან 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით) რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად: ლევან თევზაძეს საანგარიშო 984 დღეში დასრულებული აქვს 107 საქმე, რაც მისი სამუშაო რეჟიმის დატვირთულობაზე არ მეტყველებს. ამ პირობებში კანდიდატს აქვს საქმის განხილვის საერთო საპროცესო ვადის დაცვისა (100%) და გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის (100%) უმაღლესი მაჩვენებლები. ამავდროულად, აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის (93,8%) საკმაოდ მაღალი მაჩვენებელიც. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ლევან თევზაძეს შრომისმოყვარე, ორგანიზებული, მიზანმიმართული და პასუხისმგებლიანი პიროვნებაა. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ლევან თევზაძე გამოირჩევა პუნქტუალურობით, შრომისმოყვარეობით და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, არის მიზანდასახული, აქვს დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესულ სიტუაციაში

			მუშაობის უნარი. შეუძლია ეფექტურად დაგეგმოს სამუშაო პროცესი, სწორად განსაზღვროს პრიორიტეტები, მოამზადოს საქმე ჯეროვნად და პასუხისმგებლობით. სწორად გაანაწილოს და ოპტიმალურად გამოიყენოს დრო და რესურსები. გააჩნია გუნდური მუშაობისა და გუნდის მართვის უნარი. შეუძლია ყურადღებით მოუსმინოს პროცესის მონაწილეებს და გადაწყვეტილების მიღებამდე, მათ შეუქმნას ობიექტურობის, სამართლიანობის განცდა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი მოპოვებულ ინფორმაციას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> ლევან თევზაძემ 2007 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. 2014 წლიდან კანდიდატი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ კანდიდატი დახასიათებულია პროფესიონალად, რომელიც მუდმივად მიისწრაფვის ცოდნის გაღრმავებისკენ. ასევე აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. გამოქვეყნებული აქვს მეცნიერული ნაშრომები. მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად ახერხებს საკუთარი ცოდნისა და პროფესიული შესაძლებლობების რეალიზებას.

პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> კანდიდატი ბოლო წლების განმავლობაში მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ 30-ზე მეტ ტრენინგსა და სემინარში. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2013 წლის 16 ივნისის დადგენილებით ლევან თევზაძე არჩეულ იქნა მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად და ამავდროულად თავმჯდომარედ. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2015 წლის 11 ივლისის დადგენილებით ლევან თევზაძე არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად. ლევან თევზაძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას მათ შორის იუსტიციის უმაღლეს სკოლაში კითხულობს ლექციათა კურსს და ატარებს ტრენინგებს.
ქულათა ჯამი	95	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**95**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ლევან თევზაძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ლევან თევზაძე.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი: **ლევან თევზაძე**

ასაკი: **42 წლის**

დაბადების თარიღი: **28 მაისი, 1979 წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **19 წელი**

სამუშაო ადგილი: **თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე/თავმჯდომარე**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, ლევან თევზაძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელით** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის - პროფესიონალიზმს, გულისხმიერებას, წესიერებას, კეთილსინდისიერებას, მიუკერძოებლობას, პრინციპულობას, კარგ მენეჯერულ თვისებებს, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, საქმისადმი ერთგულებას, ერუდიციას, სამართლიანობას, შრომისმოყვარეობას, თავაზიანობას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამის ქცევას და იმიჯს, მაღალ საქმიან და მორალურ რეპუტაციას, ანალიტიკურ აზროვნებას და სხვა. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; ერთი რესპოდენტი მიიჩნევს რომ ლევან თევზაძის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

- ლევან თევზაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი („ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია" და „დგომა აკრძალულია" მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა"; ჯარიმა -10 ლარი; სამი შემთხვევა); ასკ-ის 125[2] მუხლის პირველი ნაწილი („დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევა", ჯარიმა - 10 ლარი, ხუთი შემთხვევა). აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად.

წარმოდგენილი ინფორმაცია მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან,

გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

ლევან თევზაძის მიერ სხვადასხვა მედია საშუალებებში გაკეთებული განცხადებებიდან, ასევე გასაუბრების დროს გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იგი აზრის გამოხატვის პროცესში არის ღია და გახსნილი. აქვს პიროვნული სიმყარე და შეუვალობა. არ განიცდის შიშს კრიტიკის მიმართ.

აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ლევან თევზაძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, ლევან თევზაძე მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, ლევან თევზაძის მიმართ ინფორმაცია არ მოიპოვება.

გასაუბრების ეტაპზე, რიგ შემთხვევაში, გამოიკვეთა კანდიდატის ემოციურობა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მას არ დაუკარგავს კორექტულობა, მისი მოქმედებები და მიმართვები მოქცეული იყო ეთიკის ნორმებში, რაც მიუთითებს, რომ მას აქვს საკუთარი ქცევის მართვის უნარი.

მოსამართლისათვის შეუფერებელი ქცევა მისი მხრიდან გამოვლენილი არ არის, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე, კომპეტენტურობაზე, კოლეგიალურობაზე, პრინციპულობაზე და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმების პროცესში არ გამოვლინდა ის საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის რეპუტაცია, მიუკერძოებლობა და კეთილსინდისიერება. ამდენად, ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ლევან თევზაძის, შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა ლევან თევზაძის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 18 აპრილის განაჩენი, საქმე N1/ბ-849-18, (სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტები (თაღლითობა).

<u>გავეცანი კანდიდატის მიერ გამოქვეყნებულ შემდეგ სამეცნიერო პუბლიკაციებს:</u>

- ლ. თევზაძე - „დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების

აუცილებელი შემადგენელი ნაწილი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 2018 წ. (გვ.7-20).

- ლ. თევზაძე - „თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით", საიუბილეო კრებული; გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2017წ. (გვ. 60-79).
- სახელმძღვანელო წინადადებები „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე", თანაავტორი.

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ ლევან თევზაძე ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა. იგი ასევე კარგად იცნობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს და სამოსამართლო საქმიანობაში სწორად იყენებს მათ.

გასაუბრების ეტაპზე:

კანდიდატმა სწორად და სიღრმისეულად ჩამოაყალიბა ევთანაზიის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები და პრაქტიკა, რაც მიუთითებს მისი ცოდნის ხარისხზე ამ სამართლებრივ ცნებებთან მიმართებით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-13 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე კანდიდატმა სწორად გასცა პასუხი, ასევე, მიუთითა მისი კავშირი კონვენციის სხვა მუხლებთან და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები.

კონვენციის მე-7 მუხლთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე, კანდიდატმა განმარტა აღნიშნული მუხლი და მსჯელობის პროცესში საილუსტრაციოდ მოიყვანა ევროსასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება.

კანდიდატი დამაჯერებლად განმარტავს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კონვენციურ სტანდარტს, მიუთითებს ეროვნულ დონეზე მისი გამოყენების პრობლემურ ასპექტებზე. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს აქტიურად იყენებს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას და მისივე განმარტებით, ამავე თემას ამუშავებს დოქტორანტურაში. აღნიშნული ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ კანდიდატი იცნობს ამ მიმართულებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და ახერხებს მის ეფექტურ იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე სამართალშემოქმედების პროცესში.

კანდიდატმა სწორად ისაუბრა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის პრაქტიკულ და თეორიულ ასპექტებზე.

კაზუისტურ კითხვაზე, რომელიც ეხებოდა შევიწროებას, როგორც ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევასა და ადევნებას, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს შორის განსხვავებაზე, კანდიდატმა მართებულად იმსჯელა მათ შორის არსებულ განმასხვავებელ ნიშნებზე.

ე.წ. „აგენტ პროვოკატორის" არსის თაობაზე დასმულ კითხვაზე კანდიდატმა მიმოიხილა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და შეეხო პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს.

კანდიდატმა იმსჯელა ირიბი ჩვენების, როგორც ძირითადი მტკიცებულების გამოყენების პრობლემატიკაზე.

სამართლებრივ სისტემებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე, კანდიდატმა მოახდინა სისტემების დიფერენცირება და გამოკვეთა მათი თავისებურებები.

გარდა ამისა, კანდიდატმა სხვადასხვა ტიპის კაზუისტურ შეკითხვებზე, წარმოადგინა საკუთარი დასაბუთებული პოზიციები.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

ლევან თევზაძეს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 13 წლიანი გამოცდილება. იგი ასევე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, რაც მიუთითებს მის კომპეტენციაზე. მისი გადაწყვეტილებები სტრუქტურიზირებულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. გადაწყვეტილებები არის დასაბუთებული, თანმიმდევრული და მარტივად აღქმადი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 ქულით.

3. წერის უნარის მახასიათებელი

კანდიდატის წერის უნარებს ვაფასებ მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და სამეცნიერო ნაშრომების შესწავლის საფუძველზე. როგორც აღინიშნა, კანდიდატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის კარგად დასაბუთებული. გადაწყვეტილებებში იგი ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, აზრი ჩამოყალიბებულია ნათლად და გასაგებად, დაცულია გადაწყვეტილების წერის სტრუქტურა.

კანდიდატის წერის კულტურაზე ასევე მიუთითებს მის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

ლევან თევზაძე აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად. კანდიდატი გასაუბრების პროცესში იყო ღია და გახსნილი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, ლევან თევზაძის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%.
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%.
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 93.8%; შეცვლილი -6.2%.

საანგარიშო პერიოდში (984 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 107 საქმე; განიხილა იმდენი საქმე, რამდენიც დაეწერა.

მითითებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ კანდიდატი სწორად ახორციელებს საქმეთა ნაკადის მართვას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც იგი პარალელურად ახორციელებს პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილებას და იმავდროულად აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტიპის ლექცია/სემინარს, კითხულობს ლექციებს.

კანდიდატის მხრიდან მხარეების ან/და პროცესის მონაწილეთა მიმართ არაკორექტული ქცევა გამოვლენილი არ არის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგებს და სასწავლო კურსებს, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი მიღებულ ცოდნას სამოსამართლო საქმიანობის გარდა, ასევე იყენებს პედაგოგიურ საქმიანობაში. ლევან თევზაძე არის დოქტორანტი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **4 ქულით.**

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში, იგი ავტორია რამდენიმე

სამართლებრივი ნაშრომის, რომლებიც გამოყენებადია როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მიზნებისათვის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 95 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	97	100

სახელი, გვარი: თამარ ღვამიჩავა

თარიღი: 28.05.2021

თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ლევან თევზაძის შეფასება.**

2020 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატად დარეგისტრირდა 50 კანდიდატი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულების საფუძველზე.

გავეცანი კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც გასაცნობად წარედგინა საბჭოს თვითოეულ წევრს. ასევე მონაწილეობა მივიღე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ლევან თევზაძის** საჯარო მოსმენაში, რომელიც გაიმართა **2020 წლის 18 დეკემბერს.** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს როგორც სამართლებრივი ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. საჯარო მოსმენის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერის ნახვა შესაძლებელია მითითებულ ლინკზე -https://www.youtube.com/watch?v=PXceg0QwdgY

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი **ლევან თევზაძე** არის მოქმედი მოსამართლე, შესაბამისად მისი შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის დადგენილი წესის საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის **ლევან თევზაძე** კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას გავითვალისწინე ზემოაღნიშნული კრიტერიუმის მახასიათებლები. შესაბამისად კანდიდატი შეფასდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე.

ასევე კანდიდატის შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ქულის დასაბუთებულობის საფუძველზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ.

კანდიდატი ლევან თევზაძე გახლავთ 41 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 19 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ13 წელზე მეტი, კერძოდ:
2008 წლის 29 აპრილს დაინიშნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, ხოლო 2008 წლის 11 აგვისტოდან - ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ. 2009 წლის 2 დეკემბრიდან დაინიშნა ქუთაისი საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ და ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ. 2013 წლის 18 მარტიდან დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ. 2018 წლის 18 იანვრიდან განწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის - სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ. 2018 წლის 27 თებერვლიდან დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ 5 წლის ვადით.
რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის პროფესიონალიზმს, გულისხმიერებას, წესიერებას, კეთილსინდისიერებას, მიუკერძოებლობას, პრინციპულობას, კარგ მენეჯერულ თვისებებს, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, საქმისადმი ერთგულებას, ერუდიციას, სამართლიანობას, შრომისმოყვარეობას, თავაზიანობას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამის ქცევას და იმიჯს, მაღალ საქმიან და მორალურ რეპუტაციას, ანალიტიკურ აზროვნებას და სხვა. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე.
გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. ერთი რესპოდენტი მიიჩნევს რომ ლევამ თევზაძის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატმა ლევან თევზაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ სასწავლო-პროფესიულ ღონისძიებებში:
- მოსამართლის პროფესიული უნარები - სემინარი.
- ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება - ტრენინგი.
- ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგია - სემინარი.
- დისტანციური სწავლების საშუალებების გამოყენება - სემინარი.
- მტკიცებულებათა ცნება, შეფასება, დაშვება, გამოკვლევა, გამოქვეყნება და დემონსტრირება
- სამართლებრივი ენა სისხლის სამართლის მიმართულების თანამშრომლობაში, (რუმინეთი, ბუქარესტი).
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა - სასწავლო კურსი (აშშ. ატლანტა).
- ბრემენის უმაღლესი რეგიონალური სასამართლო - სასწავლო კურსი (გერმანია, ბრემენი).
- სასამართლო მენეჯმენტი და ადმინისტრირება - სასწავლო კურსი (გერმანია, დორტმუნდი).
- ფსიქიატრიულ ჯანდაცვა - სემინარი.
- სასამართლო დარბაზში კომუნიკაცია და მიკერძოება - სემინარი.

კანდიდატი ლევან თევზაძე ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

- იყო თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიწვეული ლექტორი „სამოსამართლეო სამართლის“ დისციპლინაში.
- კითხულობს სემინარებს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. არის მასწავლებელთა საბჭოს წევრი.
კანდიდატი ლევან თევზაძე ასევე არის ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებზე.

კანდიდატ ლევან თევზაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება: საცხოვრებელი ბინა, ქ. თბილისში (81 კვ.მ. - 100%), მიწის ნაკვეთი (725 კვ.მ. - 100%). მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, ლევან თევზაძე რამდენჯერმე დაჯარიმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.
მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.
კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი მხარედ/დაზარალებულად რაიმე საქმეში.
კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

კანდიდატმა ლევან თევზაძემ წარმოადგინა მის მიერსისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილიგანაჩენი და 3 პუბლიკაცია: 1) „დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2018 წ. (გვ.7-20); 2) „თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით“; საიუბილეო კრებული; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017 წ. (გვ.60-79); 3) სახელმძღვანელო წინადადებები „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“, თანაავტორი.

2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, მოსამართლე ლევან თევზაძემ საქმეთა 100% განიხილა საპროცესო ვადების დაცვით; გადაწყვეტილებები ვადის დაცვით მოამზადა საქმეთა 100%-ზე; მისი გადაწყვეტილებები დარჩა უცვლელი საქმეთა 93.8%-ში. საანგარიშო პერიოდში (984 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 107 საქმე - მის მიერ განიხილული იქნა ყველა საქმე, რაც მასზე განაწილდა.

- **კანდიდატ შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.**

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იგი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე) კანდიდატის მიერ გადახდილია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი. იგი გამოირჩევა პრინციპულობით, მედეგობით, სამართლიანობით, მიუკერძოებელობით, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კორექტული და თავდაჭერილია. ასევე, საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

- **კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.**

-კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია - **სამართლის ნორმების ცოდნა.**

კანდიდატის საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და ეფუძნებოდა სწორ სამართლებრივ შეფასებებს.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, კარგად იცნობს კანონმდებლობას, როგორც მატერიალურ ასევე პროცესუალურ ნორმებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. მოსამართლეობის კანდიდატი მის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას.

საჯარო გასაუბრებისას ნათლად წარმოჩინდა, რომ მოსამართლეს აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ, რაც საგულისხმო და დასაბუთებულია.
შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული **სამართლის ნორმების ცოდნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **20 ქულით.**

-კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისათვის ვიხელმძღვანელე როგორც მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით, ასევე საჯარო მოსმენისას წარმოჩენილი ცოდნის დონით.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. დასაბუთებისას, მოსამართლე ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას,

უსადაგებს კანონის შესაბამის ნორმას და უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა კარგი ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. ის, ძირითადად, დამაჯერებლად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას აზრთა სხვადასხვაობისა თუ თანხვედრობის შემთხვევაში. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სამართლებრივ საკითხებზე. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული **სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **20 ქულით.**

-კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ მას გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობის უნარი. შესაბამისად, ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული **წერის უნარის** მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შეფასდა **17 ქულით.**

-საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, ის გამართულად და აუღელვებლად მეტყველებს. დასმულ საკითხთან დაკავშირებით აზრს გადმოსცემს დამაჯერებლად, ნათლად და გასაგებად. საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან გარემოებებზე. ასევე შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული **ზეპირი კომუნიკაციის უნარის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **15 ქულით.**

-კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე პიროვნება. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის კორექტული, თავდაჭერილი, სასამართლო სხდომას უძღვება სათანადოდ, კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი, არის პრინციპული, მედეგი, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს.

შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - **პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში** შეფასდა **15 ქულით.**

-კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს სამართლებრივ სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რაც მიზნად ისახავს კვალიფიკაციის ამაღლებას და ცოდნის გაღრმავებას. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული **აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **5 ქულით.**

კანდიდატი ახორციელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, აქედან გამომდინარე იგი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული **პროფესიული აქტივობის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **5 ქულით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ლევან** თევზაძე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს **97 ქულას.**

1. სამართლის ნორმების ცოდნა - **20 ქულა**
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცა -**20 ქულა**
3. წერის უნარი -**17 ქულა**
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - **15 ქულა**
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - **15 ქულა**
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - **5 ქულა**
7. პროფესიული აქტივობა - **5 ქულა**

ქულათა ჯამი 97 ქულა

თარიღი: **28.05.2021 წ.**

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	**87**	**100**

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ლევან თევზაძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები ლევან თევზაძეს ახასიათებენ როგორც კორექტულ, თავდაჭერილ, საქმისა და ადამიანების ერთგულ, მაღალი პროფესიული სინდისის მქონე პიროვნებას.

ლევან თევზაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ლევან თევზაძე პრინციპული, მიუკერძოებელი, შეუვალი, პიროვნულად მტკიცე და ზეგავლენებისგან თავისუფალი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მას შესწევს სამართლიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. კოლეგების შეფასებით, კანდიდატს შეუძლია ნებისმიერი საკითხის განხილვისას შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი და არ გამოხატოს მიკერძოება.

ლევან თევზაძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ლევან თევზაძე კორექტული და ემოციურად

გაწონასწორებული პიროვნებაა, რომელიც გამოირჩევა მოსამართლის შესაფერისი ქცევებით, თავდაჭერილობითა და ღირსების შეგრძნებით.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ლევან თევზაძის მიმართ დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ლევან თევზაძეს ახასიათებენ მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც სასამართლო აპარატსა და კოლეგებში, ასევე, ზოგადად იურიდიულ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ლევან თევზაძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: ლევან თევზაძემ საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა. კანდიდატმა ისაუბრა აქტიური და პასიური ევთანაზიის სახეებისა და მათი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხებზე. კანდიდატმა იმსჯელა ევროპული კონვენციის მე-13 და მე-7 მუხლებზე, მათთან დაკავშირებით მოიხმო საქართველოს წინააღმდეგ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილებაც. კანდიდატმა იმსჯელა ირიბი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი პრაქტიკაზე მითითებით. კანდიდატმა ისაუბრა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობის ასპექტებზე და დირექტორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებზე. თუმცა, კანდიდატის პასუხი სამოსამართლო ეთიკასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე არ იყო დამაკმაყოფილებელი.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეზე მიღებული განაჩენი, რომლის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. საჯარო მოსმენის პროცესიდან ირკვევა, რომ კანდიდატი სისტემატურად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებსა და ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ ლევან თევზაძეს აქვს როგორც პროცესუალური და მატერიალური, ასევე სასამართლო, მათ შორის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნა, რომელსაც აქტიურად იყენებს პრაქტიკაში.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განაჩენში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. რეკომენდატორთა თანახმად, კანდიდატი გადაწყვეტილების დასაბუთებისას იყენებს არა მხოლოდ საქართველოს სასამართლოების მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსაც. ლევან თევზაძის კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი კარგად განმარტავს სამართლებრივ ნორმებს და სწორად უფარდებს ფაქტობრივ გარემოებებს.

აღსანიშნავია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც, ლევან თევზაძის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 93.8%-ს.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე და მოიხმო როგორც საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების, ასევე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. ლევან თევზაძემ ისაუბრა სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპსა და მოსამართლის როლზე, აღნიშნა, რომ თავად უპირატესობას ანიჭებს შეჯიბრებითობის პრინციპს ინკვიზიციურობასთან

მიმართებით. ასევე განმარტა, რომ ისურვებდა მოსამართლეს შეეძლოს კანონით დადგენილ სასჯელთან შედარებით უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენება გარკვეული კატეგორიის დანაშაულების შემთხვევაში. თუ კანდიდატი ჩათვლიდა, რომ კონკრეტული საპროცესო ნორმის გამოყენებით მიიღებდა მხარის მიმართ არასამართლიან გადაწყვეტილებას, იფიქრებდა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვაზე. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა შეკითხვათა ძირითად ნაწილს უპასუხა, რიგ შემთხვევაში შეკითხვაზე პასუხი იყო გამოთქმული ზოგადად, მოსაზრების სახით და არ იყო გამყარებული შესაბამის სამართლებრივ საფუძველზე დასაბუთებით, მაგალითად, მსჯელობა სიტუაციურ მაგალითზე, რომელიც ეხებოდა ასაკის ნიშნით დისკრიმინაციას.

წერის უნარი: ლევან თევზაძემ წარმოადგინა 4 სამართლებრივი ნაშრომი, მათ შორის 1 სასამართლო განაჩენი და 3 სამეცნიერო პუბლიკაცია. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ლევან თევზაძე აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით. კანდიდატი ავლენს წერისა და სამართლებრივი ლექსიკის შესაბამის დონეზე ცოდნას.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციის უნარი. ლევან თევზაძე საუბრობს გამართულად, მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოცემს ნათლად, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატს შეუძლია განაწყოს ადამიანი მის მიმართ ნდობითა და პატივისცემით, ასევე, შეუძლია შეინარჩუნოს მოთმინება და გონიერება პროვოცირების დროს, ნებისმიერი საკითხი განიხილოს დინჯად და მშვიდად.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ლევან თევზაძეს ახასიათებენ როგორც შრომისმოყვარე და დისციპლინირებულ პიროვნებას, რომელსაც გააჩნია სტრესულ ვითარებაში მუშაობის უნარი. რეკომენდატორების თანახმად, კანდიდატს აქვს მენეჯერული უნარ-ჩვევები, შეუძლია ეფექტურად დაგეგმოს სამუშაო პროცესი, სწორად განსაზღვროს პრიორიტეტები და ოპტიმალურად გამოიყენოს დრო და რესურსები. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ლევან თევზაძეს შეუძლია მოსამართლის აპარატის საქმიანობის წარმართვა, სასამართლო პროცესის ორგანიზება და ეფექტიანი მართვა. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ლევან თევზაძე გამოირჩევა სასამართლო დარბაზში სამოსამართლეო ეთიკისა და

მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. მხარეებთან ურთიერთობისას იჩენს ზომიერებას, ღიაობას, თანმიმდევრულობას და ტოლერანტობას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ლევან თევზაძეს საანგარიშო პერიოდში (984 დღე) დასრულებული აქვს 107 საქმე (განიხილა იმდენი საქმე, რამდენიც დაეწერა). ამასთან, კანდიდატის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 100%-ს აღწევს, რაც მიუთითებს მის პუნქტუალურობასა და დისციპლინურობაზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 10-ზე მეტ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები ფსიქიატრიული ჯანდაცვის, ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიის, მოსამართლეთა პროფესიული უნარების, მტკიცებულებათა ცნების, შეფასების, დაშვების, გამოკვლევის, გამოქვეყნებისა და დემონსტრირების შესახებ და სხვ. კანდიდატს გავლილი აქვს სასწავლო კურსები ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიასა და რუმინეთში.

ლევან თევზაძე არის ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებზე. ამასთან, კანდიდატი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი (სტატუსი შეჩერებულია).

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. კერძოდ, ლევან თევზაძეს გამოქვეყნებული აქვს სტატიები. ასევე, იგი არის თანაავტორი სახელმძღვანელო წინადადებებისა „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე". კანდიდატი კითხულობს სემინარებს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. იგი ასევე არის მასწავლებელთა საბჭოს წევრი.

რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ ლევან თევზაძე ხასიათდება ნოვატორული იდეებითა და ინიციატივებით. კოლეგების თანახმად, კანდიდატი გამოირჩევა მაღალი პროფესიული აქტივობით, ხშირად მონაწილეობს კონფერენციებში, ხოლო მიღებულ ცოდნას აქტიურად უზიარებს როგორც კოლეგებს, ასევე სტუდენტებს.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 87 ქულით, კერძოდ:

   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 17 ქულა;

   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 17 ქულა;

   2.3.წერის უნარი - 17 ქულა:

   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 13 ქულა;

   2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 13 ქულა;

   2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;

   2.7.პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

ლევან თევზაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ლევან თევზაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - ლევან თევზაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, კერძოდ **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის კუთხით** შეფასებისას მიმაჩნია რომ, ლევან თევზაძე არის წესიერი, პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება, მოწესრიგებული და პროფესიონალი. კანდიდატის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატის დახასიათებისას გამორჩეული იქნა ისეთი თვისებები როგორიცაა: პროფესიონალიზმი, გულისხმიერება, წესიერება, კეთილსინდისიერება, მიუკერძოებლობა, პრინციპულობა, კარგი მენეჯერული თვისებები, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, საქმისადმი ერთგულება, ერუდიცია, სამართლიანობა, შრომისმოყვარეობა, თავაზიანობა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, მაღალი
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ანალიტიკური აზროვნება. **დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის მახასიათებლით** შეფასებისას აღსანიშნავია კანდიდატის პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და შეუვალობა. ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა ლევან თევზაძის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიუკერძოებლობის ან განსხვავებული რელიგიური, რასობრივი, ეროვნული, ეთიკური კუთვნილების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს. კანდიდატის შესახებ არსებული ინფორმაციის თანახმად, ლევან თევზაძე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი, წევრი და შემომწირველი. **პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით** შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი იმიჯი და ქცევა, თავდაჭერილობა. ლევან თევზაძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის- მენეჯმენტის დეპარტამენტიდან და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ლევან თევზაძე სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით** შეფასებისას აღსანიშნავია ისეთი

			თვისებები როგორიცაა მისი მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. რაც შეეხება **ფინანსური მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს არ ერიცხება დავალიანება ბიუჯეტის მიმართ, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შეუსაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან., კერძოდ, საცხოვრებელი სახლი (170,8 კვ.მ) სამტრედიაში აღარ ირიცხება კანდიდატის სახელზე. ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	**სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას აღსანიშნავია, რომ კანდიდატის - ლევან თევზაძის მიერ როგორც მატერიალური ისე საპროცესო ნორმების ცოდნის დონე არის მაღალი; ასევე აქვს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის

			უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის მაღალი დონე. ლევან თევზაძე სიღრმისეულად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო სამართლის ნორმებს. გასაუბრებისას დასმულ ყველა შეკითხვებზე მან გასცა სწორი და ამომწურავი პასუხები. თუმცა, იყო მცირე ხარვეზებიც. ლევან თევზაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით** შეფასებისას აღსანიშნავია, რომ კონკურსის ფარგლებში კანდიდატის მიერ წარმოდგენილი იქნა ერთი სასამართლო გადაწყვეტილება და სამი სამეცნიერო პუბლიკაცია. გადაწყვეტილება დამაჯერებელი და დასაბუთებულია. ფაქტობრივ გარემოებებს ადექვატური სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) აქვს მიცემული და ეფუძნება შიდა საკანონმდებლო და საერთაშორისო სამართლის არსებითად სწორ აღქმას.
წერის უნარი	17	20	**წერის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას** აღსანიშნავია, რომ ლევან თევზაძე წერილობით მოსაზრებებს აყალიბებს გამართულად, იურიდიულ ტერმინოლოგიას იყენებს ზედმიწევნით ადექვატურად. მიმაჩნია, რომ მის მიერ მიღებულ დოკუმენტების შინაარსი გასაგებია და ადვილად იკითხება. თუმცა ლევან თევზაძე იყენებს რთულ წინადადებებს, რაც ართულებს აზრის აღქმადობას.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	**ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასებისას** მინდა დავასკვნა, რომ კანდიდატი, როგორც მოქმედი მოსამართლე, გამართულად მეტყველებს და გააჩნია სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმათა შინაარსის სათანადოდ გადმოცემის უნარი. შეუძლია მოთმინებით მოისმინოს სხვათა მოსაზრებები, მათ შორის განსხვავებული პოზიცია და მოსაზრებები. საუბრობს გაწონასწორებულად და გარკვევით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი, როგორც მოქმედი მოსამართლე სასამართლო პროცესებს წარმართავს მშვიდად და გაწონასწორებულად. მოსამართლე პროცესის მონაწილე მხარეებს მიმართავს თავაზიანად, მათ მიმართ ამჟღავნებს სათანადო პატივისცემას. მოსამართლე განუმარტავს მხარეებს მათ საპროცესო უფლებებს და მიუთითებს პასუხისმგებლობაზე. მოსამართლე ზედმიწევნით იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. რაც შეეხება ლევან თევზაძის მიერ საპროცესო ვადების დაცვას, მონაცემები შემდეგია: - საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%. - გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%. - გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 93.8%; შეცვლილი -6.2%. საანგარიშო პერიოდში (984 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 107 საქმე; განიხილა იმდენი საქმე,

			რამდენიც დაეწერა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ ლევან თევზაძე მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად ეწევა აკადემიურ საქმიანობას, კერძოდ, 2014 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი (შეჩერებული აქვს სტატუსი), აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო სახის არაერთი პუბლიკაცია. აღსანიშნავია მისი ღიაობა სიახლეების მიმართ, თვითგანვითარების და შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი.
პროფესიული აქტივობა	5	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით კანდიდატის შეფასებისას** აღსანიშნავია, რომ კანდიდატი ინტენსიურად მონაწილეობდა სამართლებრივი პრობლემებისა და მართლმსაჯულების საკითხებზე ორგანიზებულ მთელ რიგ შეხვედრებში სემინარებსა და პროფესიული წვრთნის ღონისძიებებში (მოსამართლის პროფესიული უნარები - სემინარი. ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება - ტრენინგი. ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგია - სემინარი. დისტანციური სწავლების საშუალებების გამოყენება - სემინარი._მტკიცებულებათა ცნება, შეფასება, დაშვება, გამოკვლევა, გამოქვეყნება და დემონსტრირება. სამართლებრივი ენა სისხლის სამართლის მიმართულების თანამშრომლობაში, (რუმინეთი, ბუქარესტი). ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა -

			სასწავლო კურსი (აშშ. ატლანტა). ბრემენის უმაღლესი რეგიონალური სასამართლო - სასწავლო კურსი (გერმანია, ბრემენი). სასამართლო მენეჯმენტი და ადმინისტრირება - სასწავლო კურსი (გერმანია, დორტმუნდი) ფსიქიატრიულ ჯანდაცვა - სემინარი სასამართლო დარბაზში კომუნიკაცია და მიკერძოება - სემინარი და სხვა.). კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი აქვს სამი სამეცნიერო პუბლიკაცია. ლევან თევზაძე ასევე არის ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებზე.
ქულათა ჯამი	95	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი : 29.05.21

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი: 27.05.2021 წ.

ლევან თევზაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული, თავშეკავებული და პატიოსანი. პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. აღსანიშნავია, რომ კოლეგებს შორის კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. მნიშვნელოვანია, რომ მის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. ამასთან, კანდიდატი არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, მათ შორის პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. ის არის პრინციპული და შეუვალი. აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	კანდიდატი კარგად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, კარგია მისი ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში. კანდიდატი აქტიურად ეცნობა და აანალიზებს

			ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს აქვს ძალიან კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. სამართლებრივ პუბლიკაციებსა თუ გადაწყვეტილებაში საკითხის განხილვისას და საკუთარი მოსაზრების დასაბუთებისას ის ახდენს საკითხის ფართო და სიღრმისეულ ანალიზს. დამაჯერებლად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს.
წერის უნარი	19	20	კანდიდატი თავის მოსაზრებებს გადმოსცემს ნათლად, გასაგებად და დასაბუთებულად, რაც ანიჭებს მის პოზიციას დამაჯერებლობას. მას აქვს კარგი ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	კანდიდატი არის თავდაჯერებული და გაწონასწორებული. მას აქვს განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. ღიად, გამჭვირვალედ და კორექტულად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. ამასთან, გასაუბრებით გამოწვეული მღელვარება კანდიდატის საუბარში არ იგრძნობოდა. მას შესწევს უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრებები.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. მას აქვს სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი. თავის მოვალეობებს ასრულებს გულმოდგინედ, არის პროდუქტიული და სწრაფი, რასაც ადასტურებს კანდიდატის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების სრული დაცვა (100%). მას აქვს მენეჯერული უნარ-ჩვევები.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ, მას აქვს თვითგანვითარების უნარი. ამასთან, ის აქტიურად ესწრება ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ შეხვედრებს, ტრენინგებსა და სემინარებს.
პროფესიული აქტივობა	4	5	კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, თუმცა ის ეწევა აკადემიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. ასევე, ის უძღვება სალექციო კურსს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

ქულათა ჯამი	95	100	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. <u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით**</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ლევან თევზაძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* <u>**პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი**</u> მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ ლევან თევზაძეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. მას არ უფიქსირდება რაიმე სახის ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. ლევან თევზაძე არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. მას, დაკისრებული ადმინისტრაციული სამართალდარვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები გადახდილი აქვს დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ მას სათანადოდ აქვს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ვალდებულებებს. გასაუბრების შედეგად კანდიდატმა გამოავლინა კორექტულობა, თავშეკავებულობა. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად და გამჭვირვალედ, ამასთან კორექტულობისა და		

	ეთიკურობის სრული დაცვით. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** რეკომენდატორებისა და გამოკითხული კოლეგების მიერ კანდიდატის დახასიათების შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის არის პრინციპული, მიუკერძოებელი. ამასთან, მიმაჩნია, რომ კანდიდატს შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები და დაიცვას თავისი პოზიცია. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა და ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ლევან თევზაძე არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** ლევან თევზაძეს სათანადოდ აქვს გააზრებული მისი, როგორც მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. მისი ქცევა და იმიჯი, ასევე, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. ის არის კორექტული, თავდაჭერილი და თავაზიანი. კანდიდატი სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ლევან თავზაძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მხარედ ან დაზარალებულად არ წარმოდგენილა. ამასთან, არ დასტურდება კანდიდატის მიმართ სიხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** ლევან თევზაძე სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული კოლეგები კანდიდატს ახასიათებენ საკმაოდ დადებითად. ისინი გამოარჩევენ კანდიდატის პროფესიონალიზმს, გულისხმიერებას, წესიერებას, კეთილსინდისიერებას, მიუკერძოებლობას, პრინციპულობას, კარგ

	მენეჯერულ თვისებებს, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, საქმისადმი ერთგულებას, ერუდიციას, სამართლიანობას, შრომისმოყვარეობას, თავაზიანობას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამის ქცევას და იმიჯს, მაღალ საქმიან და მორალურ რეპუტაციას, ანალიტიკურ აზროვნებას და ა.შ.. ამასთან, გამოკითხულ რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს რაიმე სახის სისუსტე და ნაკლოვანება, რომელიც ხელს შეუშლიდა მას სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებაში. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** იმის გათვალისწინებით, რომ ლევან თევზაძე სათანადო პასუხისმგებლობით, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, მიმაჩნია, რომ უნდა გამოირიცხოს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენის საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ამასთან, კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ ლევან თევზაძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერის უნარი;* • *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* **<u>სამართლის ნორმების ცოდნა</u>**

	გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. კანდიდატი მაქსიმალურად ცდილობდა საკითხთა განხილვისას მისი მსჯელობა ყოფილიყო ამომწურავი, გასაგები და დასაბუთებული, მიმაჩნია, რომ კანდიდატმა ეს შეძლო. სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას ის ცდილობდა მაქსიმალურად გამოევლინა თავისი პრაქტიკული გამოცდილება და დაგროვილი თეორიული ცოდნა, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო პრეცედენტების მაგალითების განხილვის გზით. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი კარგად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. მოცემული სფეროს ფარგლებში კანდიდატი საკითხებს განიხილავდა სიღრმისეულად, თავის მოსაზრებებს ის ამყარებდა სათანადო არგუმენტებით, როგორც კანონმდებლობიდან, ისე ეროვნული თუ საერთაშორისო პრაქტიკიდან მაგალითების მიმოხილვით. მსჯელობისას კანდიდატი აფიქსირებდა არამარტო თავის მოსაზრებებს, არამედ არსებულ გამოწვევებსა თუ პრობლემებს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. ასევე, მსჯელობდა გამოწვევების დაძლევის შესაბამის გზებზე. კანდიდატი კარგად ფლობს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. გასაუბრებისას, კანდიდატმა გამოავლინა, რომ აქტიურად ეცნობა და აანალიზებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. სამართლებრივი საკითხების განხილვისას კანდიდატი ხშირად მიმოიხილავდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომებს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა უმეტესად ყველა შეკითხვას გასცა ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი პასუხი. საბოლოო ჯამში, გასაუბრებაზე კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის საკითხების განხილვის შედეგად, მან ამომწურავად და დამაკმაყოფილებლად იმსჯელა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 95%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომებისა და სასამართლო განაჩენის შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს ძალიან კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. საკითხის განხილვისას და საკუთარი მოსაზრების დასაბუთებისას ის ახდენს საკითხის ფართო და სიღრმისეულ ანალიზს, დამაჯერებლად

ასაბუთებს თავის მოსაზრებებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენის სტრუქტურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად არის ჩამოყალიბებული და ფორმალურად აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

ლევან თევზაძეს აქვს 19-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს დაახლოებით 13-წლიან სამოსამართლო პრაქტიკას. მიმაჩნია, რომ მას აქვს თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია.

<u>წერის უნარი</u>

კანდიდატი წერილობით თავის მოსაზრებებს აფიქსირებს საკმაოდ გასაგებად, ნათლად და არგუმენტირებულად, რაც მის პოზიციას ანიჭებს დამაჯერებლობას. დაფიქსირებული მოსაზრებების, მოყვანილი არგუმენტებისა და ნორმების ლოგიკური განმარტებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. ის საუბრობს მშვიდად, გასაგებად და თანმიმდევრულად. ის ღიად, გამჭვირვალედ და კორექტულად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. მას შესწევს უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრებები. კანდიდატი არის თავდაჯერებული და გაწონასწორებული.

<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში</u>

კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. მას აქვს სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, რასაც ასევე ადასტურებენ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები.

კანდიდატი მოვალეობებს ასრულებს გულმოდგინედ, მის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს, მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების სრული დაცვა (100%), რაც ასევე მეტყველებს კანდიდატის მიერ დროის სწორი და რაციონალური განაწილების უნარზე.

კანდიდატის სამოსამართლო გამოცდილება მოიცავს სასამართლოს თავმჯდომარეობის ხანგრძლივ გამოცდილებას, რაც მიმაჩნია, ადასტურებს კანდიდატის მენეჯერულ უნარ-ჩვევებს.

	<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u> კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ, მას აქვს თვითგანვითარების უნარი. ამასთან, ის აქტიურად ესწრება ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ შეხვედრებს, ტრენინგებსა და სემინარებს. ამჟამად კანდიდატი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, თუმცა ის ეწევა აკადემიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. ასევე, ის უძღვება სალექციო კურსს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არის საკმაოდ აქტიური პროფესიული კუთხით, ის ხშირად ესწრება პროფესიულ შეხვედრებს და აფიქსირდებს თავის პოზიციას გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, ლევან თევზაძე 2013-2018 წლებში იყო მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი და ამავდროულად თავმჯდომარე. ასევე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2015-2018 წლებში ლევან თევზაძე იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- **შეფასების შედეგი:** 94

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: ქეთევან ცინცაძე

თარიღი: 28.05.21

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ლევან თევზაძის

შეფასება

28 მაისი, 2021 წელი ქ. თბილისი

კანდიდატის - ლევან თევზაძის **მიერ** **წარმოდგენილი დოკუმენტაციის** (ავტობიოგრაფია; სამართლებრივი დოკუმენტები/სასამართლო გადაწყვეტილებები; სერტიფიკატები) და **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის** (რეკომენდაციები; რესპონდენტთა (კანდიდატთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი კოლეგების და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა შეფასებები) მიერ შევსებული კითხვარები; ინფორმაცია კანდიდატის პროფესიული აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის მიმართ დაწყებული დისციპლინური დევნის/ არსებული დისცილინური სახდელების შესახებ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის პოლიტიკური აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის რომელიმე საქმეში მხარედ მონაწილეობის შესახებ; კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია; სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემები კანდიდატის დახურული და მიმდინარე კრედიტების თაობაზე; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები კანდიდატის შემოსავლის წყაროს, აქტივებისა და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ; ინფორმაცია - მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან; უძრავი ქონების რეესტრიდან; სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე - განხილვის ვადები და სტაბილურობა; ინტერნეტსივრცეში არსებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის სოციალურ ქსელში აქტივობების და საჯარო გამოსვლების შესახებ და ა.შ) **შესწავლისა** და **კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების შედეგების საფუძველზე,** „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდა **კანდიდატის - ლევან თევზაძის** (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი) შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმისა და ამავე კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტურობის კრიტერიუმის შესაბამისად.

მოკლე ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

კანდიდატი - ლევან თევზაძე

ასაკი: 41 წელი

განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 19 წელი

სამუშაო ადგილი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე/თავმჯდომარე

1. კანდიდატის ლევან თევზაძის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

1.1 პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის – როგორც მოსამართლისა და მოქალაქის – პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის შესახებ რეკომენდატორებისა და რესპონდენტთა მხრიდან შევსებული კითხვარები; კანდიდატის ქონებრივი დეკლარაცია; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები; ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოდან"; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ.

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის - ლევან თევზაძის, პროფესიონალიზმს, გულისხმიერებას, წესიერებას, კეთილსინდისიერებას, მიუკერძოებლობას, პრინციპულობას, კარგ მენეჯერულ თვისებებს, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, საქმისადმი ერთგულებას, ერუდიციას, სამართლიანობას, შრომისმოყვარეობას, თავაზიანობას, ხოლო რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმს.

კანდიდატს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. პარკირების წესების დარღვევისათვის დაკისრებული აქვს ჯარიმა (8 შემთხვევა), რომელიც გადახდილია კანონით დადგენილ ვადაში.

კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის ფარგლებში, რაიმე ტიპის ნეგატიური ინფორმაცია, კანდიდატის - პატიოსნების, კეთილსინდისიერების ან სხვა მახასიათებლის ნაწილში არ გამოვლენილა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

1.2 დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან, მათ შორის, ინტერნეტ სივრცეში მის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დამოუკიდებლობის პრინციპის ან რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოების ფაქტი არ გამოვლენილა. ამასთან, მართალია ინტერნეტ-სივრცეში მოიპოვება არაერთია სტატია/კანდიდატის ინტერვიუ/განცხადება, მის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით (მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის პერიოდთან დაკავშირებით), თუმცა კონკრეტული ფაქტი ან გარემოება, რომელიც რეალურად ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და სამართლიანობას არ გამოვლენილა. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

1.3 პიროვნული და პროფესიული ქცევა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი

მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, მათ შორის, რეკომენდატორთა/რესპონდენტთა მიერ შევსებული კითხვარების და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა, მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

1.4 პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, (რეკომენდაციები, კითხვარები) კანდიდატის პროფესიული და პიროვნული რეპუტაცია ხასიათდება დადებითად, ამასთან, ინტერნეტ სივრცეში მოპოვებული ინფორმაციის ფარგლებში, რაიმე ტიპის კონკრეტული ფაქტი, რომელიც უარყოფითად აისახებოდა კანდიდატის რეპუტაციაზე არ მითითებულა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებს ამ მახასათებელსაც.

1.5 ფინანსური ვალდებულება

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის, სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემების, სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან და უძრავი ქონების რეესტრიდან არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები

და კანდიდატის ქონებრივი ინტერესები წინააღმდეგობაში არ მოდის მართლმსაჯულების ინტერესებთან, შესაბამისად კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმსაც.

დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ კანდიდატმა - ლევან თევზაძემ, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელი დააკმაყოფილა სრულად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლევან თევზაძე - სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. კანდიდატის ლევან თევზაძის - შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

2.1 სამართლებრივი ნორმების ცოდნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე.

აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის მიერ საჯარო გასაუბრების პროცესში გამოვლენილი სამართლებრივი ნორმების ცოდნა და მის მიერ წარმოდგენილ სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოყენებული სამართლებრივი ნორმების რელევანტურობა.

საჯარო გასაუბრების პროცესში, კანდიდატი ლევან თევზაძე მის მიმართ არსებულ შეკითხვებს პასუხს სცემდა სრულყოფილად, დასაბუთებულად და დამაჯერებლად. გასაუბრების პროცესში კანდიდატმა გამოავლინა სამართლებრივი საკითხების სიღრმისეული ცოდნა. კანდიდატი კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, შემოიფარგლებოდა არა ვიწრო განმარტებით, არამედ მსჯელობდა კონკრეტული სამართლებრივი საკითხის თეორიულ თუ პრაქტიკულ მხარეებზე, ახორციელებდა მითითებას და შედარებით ანალიზს როგორც შიდა სასამართლო პრაქტიკაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

კანდიდატმა სრულყოფილად იმსჯელა სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის თავისებურებებზე; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის სიახლეებზე; ევთანაზიის საკითხზე; განახორციელა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 და მე-5 მუხლის ანალიზი; ასევე იმსჯელა კონვენციის მე-7 მუხლზე, ირიბი ჩვენების, როგორც ძირითადი მტკიცებულების გამოყენების

შესაძლებლობასა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებაზე; აგენტ-პროვოკატორის როლზე და არსებულ სასამართლო პრაქტიკაზე; მიმოიხილა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების თავისებურებანი; საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები; დასაბუთებული პოზიცია დააფიქსირა მის მიმართ კითხვით ფორმატში დასმულ ყველა კაზუსთან დაკავშირებით.

ამასთან, კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლო განაჩენში შესაბამისი სამართლებრივი ნორმები გამოყენებულია სწორად და თანმიმდევრულად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების თუ შესაბამისი სამართლებრივი პრობლემის რელევანტურად.

ამდენად, წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საჯარო გასაუბრების პროცესში კანდიდატმა ფაქტობრივად ყველა სამართლებრივ საკითხზე იმსჯელა სრულყოფილად და სიღრმისეულად, სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებელში, კანდიდატი უნდა შეფასდეს - 19 ქულით (95%).

2.2 სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო განაჩენის (კვალიფიკაცია - სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტები (თაღლითობა), გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ წარმოდგენილი განაჩენი დასაბუთებულია, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. არის სათანადოდ არგუმენტირებული, განმტკიცებულია, შესაბამისი მატერიალური და პროცესუალური ნორმებით. კანდიდატის მიერ გამოყენებულია როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული გადაწყვეტილებები.

ამასთან, საჯარო გასაუბრების პროცესში კანდიდატმა გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთებისა და ანალიტიკური აზროვნების ძალიან კარგი უნარი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, კომპეტენციის კუთხით მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, კანდიდატის იურიდიულ სფეროში მუშაობის 19 წლიანი სამუშაო გამოცდილება, მათ შორის, 12 წლიანი სამოსამართლო გამოცდილება.

ამდენად, კანდიდატის სამუშაო გამოცდილების, წარმოადგენილი გადაწყვეტილებების/სტატიებისა და საჯარო გასაუბრების გათვალისწინებით, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 19 ქულით (95%).

2.3. წერის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო განაჩენის და სამეცნიერო სტატიების/პუბლიკაციების (კერძოდ, 1. „დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი“; 2. „შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“; 3. სახელმძღვანელო წინადადებები „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“), გაცნობის შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები გასაგები ენით არის ჩამოყალიბებული, დოკუმენტები არის დასაბუთებული, სათანადოდ ორგანიზებული, დოკუმენტებში არსებული ფაქტობრივი გარემოებები თუ სამართლებრივი შეფასებები ჩამოყალიბებულია სტრუქტურირებულად და ლოგიკური თანმიმდევრობით, კანდიდატის მიერ ძირითადად დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

ამდენად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 18 ქულით (90%).

2.4 ზეპირი კომუნიკაციის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

საჯარო გასაუბრების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანდიდატს გააჩნია ძალიან კარგი ზეპირი კომუნიკაციის უნარი, მეტყველებს გამართულად, გააჩნია საკუთარი აზრის გადმოცემისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, რის გამოც მისი შეფასება უნდა განხორციელდეს - 15 ქულით (100%).

2.5 პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული თვისებების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის

სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში იქნა მიღებული რესპონდენტთა მოსაზრებები კანდიდატის პროფესიული თვისების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის შესახებ, ასევე ინფორმაცია კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელის და დისციპლინური დევნის არ არსებობის შესახებ.

ასევე მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის მიერ საქმის განხილვის/სასამართლო გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია (პერიოდი 2017 წლის 1 ნოემბერი - 2020 წლის 1 ნოემბერი):

საქმის განხილვის ვადების დაცვა - ვადის დაცვით -100%.

გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - ვადის დაცვით -100%.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი - 93.8%; შეცვლილი -6.2%

არსებული სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არის პროდუქტიული, სწრაფი, აქვს სტრესულ გრემოში მუშაობის უნარი, სრულად იცავს საპროცესო ვადებს, მისი გადაწყვეტილებები არის აბსოლუტურად სტაბილური.

ამდენად, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით (100%).

2.6 აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატი არის ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ამასთან, კანდიდატი იყო თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიწვეული ლექტორი „სამოსამართლეო სამართლის" დისციპლინაში.

ამჟამად, კანდიდატი კითხულობს ლექციებს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრი. ასევე არის ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებზე. აგრეთვე, შესაბამისი სალექციო კურსის თანაავტორი.

ამასთან, პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგ/სემინარში, კერძოდ:

- მოსამართლის პროფესიული უნარები - სემინარი.

- ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება - ტრენინგი.

- ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგია - სემინარი.

- დისტანციური სწავლების საშუალებების გამოყენება - სემინარი.

- მტკიცებულებათა ცნება, შეფასება, დაშვება, გამოკვლევა, გამოქვეყნება და დემონსტრირება

- სამართლებრივი ენა სისხლის სამართლის მიმართულების თანამშრომლობაში, (რუმინეთი, ბუქარესტი).

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა - სასწავლო კურსი (აშშ. ატლანტა).

- ბრემენის უმაღლესი რეგიონალური სასამართლო - სასწავლო კურსი (გერმანია, ბრემენი).

- სასამართლო მენეჯმენტი და ადმინისტრირება - სასწავლო კურსი (გერმანია, დორტმუნდი)

- ფსიქიატრიულ ჯანდაცვა - სემინარი - სასამართლო დარბაზში კომუნიკაცია და მიკერძოება - სემინარი და სხვა.

ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კანდიდატი აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს - 4 ქულით (80%).

2.7 პროფესიული აქტივობა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს სამი სამართლებრივი სტატია/პუბლიკაცია, კერძოდ, 1. „დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი

შემადგენელი ნაწილი"; 2. „შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით"; 3. სახელმძღვანელო წინადადებები „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე".

ამასთან, კანდიდატი იყო მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი და თავმჯდომარე, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

ამდენად, პროფესიული აქტივობის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 4 ქულით (80%).

დასკვნა კანდიდატის ლევან თევზაძის კომპეტენტურობის შესახებ

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, კანდიდატი - ლევან თევზაძე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს - 94 ქულით, კერძოდ:

1. სამართლებრივი ნორმების ცოდნა - 19 ქულა
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 19 ქულა
3. წერის უნარი - 18 ქულა
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 4 ქულა
7. პროფესიული აქტივობა - 4 ქულა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან თევზაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი: 27.05.2021 წ.